სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება

N01-01/20

ქ. ბათუმი

16/09/ 2016 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭომ იხელმძღვანელა ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35^7-ე მუხლის პირველი პუნქტითა და მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტის 24-ე მუხლით 2016 წლის 16 სექტემბერს სხდომაზე დამტკიცებული დღის წესრიგის (1. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის (არჩევის) წესის მიღება; 2. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადება; 3. მიმდინარე საკითხები) შესაბამისად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები (კენჭისყრის შედეგები):

1. მიღებული იქნას სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის (არჩევის) წესი. დანართი N1;
2. გამოცხადდეს ღია კონკურსი სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად. დანართი N2;
3. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადის ფორმა. დანართი N3;
4. 2016 წლის 22 სექტემბერს დაინიშნოს სამუშაო შეხვედრა ახალი ამბების სამსახურის ხელმძღვანელობასთან-მისამართზე ბათუმი, მ. აბაშიძის ქუჩა N57.

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მ/შ

რუსუდან (ნატა) იმედაიშვილი